სახალისო აქტივობები და მოსწავლეთა მოტივაცია

ავტორი [თეონა გიორგაძე]

მინდა გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება იმ სახალისო აქტივობების შესახებ, რომელთა გამოყენებითაც ვატარებ გაკვეთილებს ინგლისურ ენაში და ჩემი მოსწავლეები ხალისით ერთვებიან სასწავლო პროცესში.

თემა – ჩემი ოჯახი

გაკვეთილის სასწავლო მიზანი – მოსწავლემ შეძლოს საკუთარ ოჯახზე წერილობითი, ვიზუალური და ვერბალური პრეზენტაცია. პრეზენტაციისას სწორად გამოიყენოს რიცხვითი სახელი.

კლასი-IV

საგანი – ინგლისური ენა

საჭირო რესურსები- თაბახის ფურცლები, ფერადი წებოვანი ფურცლები, მაკრატელი, წებო, წებოვანი ლენტი.

აქტივობა-1 (მხიარული დასაწყისი)მოსწავლეთა წყვილებს ურიგდებათ სამკუთხა ბარათები ინგლისურ ენაზე დაწერილი დასასრულებელი წინადადებებით:

Today it is the ———— of February

There are———- desks in our room.

Our school is———— storey

Our classroom has ———windows.

წყვილები სწრაფად კითხულობენ, მსჯელობენ, გამოტოვებული წერტილების ნაცვლად შესაბამის რიცხვით სახელს წერენ და თანმიმდევრულად ახმოვანებენ.

Today it is the fifth of February.

I study in the sixth grade.

There are three George in our class.

There are twenty three desks in our class.

Our school is two storey building.

Our classroom has got three windows

აქტივობა -2 მხიარული პირამიდა „ ჩემი ოჯახი“

1. _____
2. _____ _____
3. _____ _____ _____
4. _____ _____ _____ _____
5. _____ _____ _____ _____ _____
6. _____ _____ _____ _____ _____ _____
7. _____ _____ _____ _____ _____ _____ _____
8. _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____

მოსწავლეებს ურიგდებათ დახაზული და დანომრილი პირამიდის დიაგრამები და ევალებთ ინსტრუქციის შესაბამისად შეავსონ:

სახელი და გვარი. Name and Surname.

რამდენი წლის ხარ? How old are you?

ჩამოთვალე ოჯახის წევრები? Who are the members of your family?

რამდენი და-ძმა გყავს? How many brothers and sisters have you got?

ვინ არის ყველაზე უფროსი/ასაკოვანი ოჯახში? Who is the oldest in your family?

ვინ არის ყველაზე უმცროსი ოჯახში Who is the youngest in your family?

ოჯახში რომელი ცხოველი გყავთ?What animal have you got in your family?

ოჯახში (ეზოში, აივანზე, სახლში) რომელი მცენარე გაქვთ? What plant have you got in your family? (in the yard , at home, on the balcony)

მოსწავლეები დავალებისთვის განკუთვნილ დროში ავსებენ პირამიდას და ათავსებენ საკლასო ოთახის საპრეზენტაციო სივრცეში. მასწავლებელი ითვალისწინებს საპრეზენტაციო სივრცის მდებარეობას და 5 წუთიან გალერეას სთვაზობს თანაკლასელებს.

აქტივობა -3 ბლიც ინტერვიუ

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს წითელბარათიან სამკერდე ნიშნებს, რომელზეც აწერია „ჟურნალისტი“ მათ ეძლევათ დავალება, ოჯახის წევრისგან აიღოს ინტერვიუ. ჟურნალისტებს ურიგდებათ ოთხად გაკეცილი ფურცლები ე.წ დამხმარე ბლოკნოტები, რომელშიც ჩაწერილია თემასთან დაკავშირებული საკითხები, რაც ჟურნალისტისთვის შეკითხვის ინსპირაციის წყაროდ შეიძლება იქცეს.

მაგალითად:

პროფესია – ყველა პროფესიაში არის რაღაც განსაკუთრებული Profession-There is something interesting in every profession.	საყვარელი წიგნები – წიგნის გარეშე მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება Favourite books__ Our life will be boring without book.
საყვარელი ფილმები – ფილმი კარგია ფანტაზიის განვითარებისთვის Favourite films- Film is good for the development of fantasy.	კულინარია – ადამიანებს სხვადასხვანაირი საჭმელები მოსწონთ. Cookery_People like different food.
მოგზაურობა – მოგზაურობა დიდი სიამოვნებაა Travelling- Travelling is great pleasure.	კათარზისი – სხვისი დახმარება სასიამოვნოა Katharsis-Somebody's help is great pleasure.

მოსწავლეები მუშაობენ დამოუკიდებლად და ასრულებენ ინსტრუქციას:

ირჩევენ რესპონდენტს (ოჯახის წევრს)

მისთვის „დამხმარე ბლოკნოტის" დახმარებით ამზადებენ 4-5 შეკითხვას

ევალებათ, საკლასო სამუშაოს დროს მომზადებული შეკითხვების გამოყენებით, საშინაო დავალების რვეულში ჩაწერონ ინტერვიუ

For example:

Journalist : Nino Ninua

Respodent :Nini's Mum Salome

Nini :What kind of books do you like?

Salome: I like history books.

Nini: Where do you want to travel?

Salome: I want to travel to Italy.

Nini: What is your favourite food ?

Salome: My favourite food is

Nini: :What genre films do you watch?

Salome: I watch comedy films.

შეფასების აქტივობა – მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს თვითშეფასებას შემდეგი სქემის გამოყენებით:

რა სიტყვები შევისწავლე?	რისი გაკეთება შევისწავლე?	რა ემოცია დამეუფლა?